რელიგია არის გულწრფელობა

გადმოცემულია აბუ რუყაია იბნ ავსი ად-დაარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რელიგია არის გულწრფელობა». ჩვენ ვკითხეთ: «ვის მიმართ?» მან თქვა: «ალლაჰის, მისი წიგნის, მისი მოციქულის, მუსლიმების ხელმძღვანელებისა და ზოგადად ყველა მუსლიმის მიმართ».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ რელიგია დაფუძნებულია გულწრფელობასა და პატიოსნებაზე, იმისთვის, რომ მისი აღსრულება მოხდეს ისე, როგორც ალლაჰმა ბრძანა, სრულყოფილად, რაიმეს მოკლებისა და ტყუილის გარეშე. შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: ვისთვის იქნება რჩევა-დარიგება? და მან უპასუხა: პირველ რიგში: რჩევა დარიგების გამოხატვა დიდებული ალლაჰის მიმართ. ეს ვლინდება იმაში, რომ საქმეები სრულდება გულწრფელად მხოლოდ მისი გულისთვის, არ დაუდგენ მას თანაზიარს, რომ ირწმუნებ მის ღვთაებრიობას, უფლობას და მის ღვთაებრივ სახელებსა და თვისებებს, ასევე მისი ბრძანებების განდიდებაში და (ადამიანების) მოწოდებას მისი რწმენისკენ. მეორედ: მისი წიგნისადმი — წმინდა ყურანისადმი. სიმართლე და გულწრფელობა ალლაჰის წიგნისადმი მდგომარეობს იმაში, რომ ირწმუნო იგი არის მისი სიტყვა, უკანასკნელი ზეციდან გარდმოსული წიგნებიდან, რომელიც ყველა წინა წიგნს აუქმებს; ყურანის გაბრწყინება და პატივისცემა; მისი სათანადოდ კითხვა; მის ნათელ მითითებათა შესრულება; დათანხმება იმაზე, რაც მასში მრავალმნიშვნელოვანია; დაცვა დამახინჯებისა და ცრუ განმარტებებისგან; მისი შეგონებების ზეგავლენაზე დაფიქრება; მასში არსებული ცოდნის გავრცელება და მისკენ მოწოდება. მესამედ: გულწრფელობა შუამავალ მუჰამმადისადმი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ეს მიიღწევა იმ რწმენით, რომ ის არის მოციქულთაგან უკანასკნელი; რწმენით ყველაფრის მიმართ, რითაც იგი მოევლინა; მისი ბრძანებების შესრულებით და მისი აკრძალვების თავიდან აცილებით; ასევე ალლაჰისადმი მსახურებით მხოლოდ ისე, როგორც მან ბრძანა; მისი უფლებების აღზევებით; პატივისცემის გამოვლენით მის მიმართ; მისი მოწოდების გავრცელებით; მისი შარიათის ქადაგებით და მისი მისამართით გამოთქმული ცრუ ბრალდებების გაბათილებით. მეოთხე: გულწრფელი რჩევა მუსლიმების მმართველებისადმი, მათზე დახმარება ჭეშმარიტებაში, კამათის მიტოვება მათი ბრძანების მიმართ, მათზე მოსმენა და მორჩილება ალლაჰის მორჩილებაში. მეხუთე: გულწრფელი რჩევა მუსლიმებისადმი: კეთილად მოქცევა მათ მიმართ და მათი მოხმობა (ისლამის კანონისკენ), თავის შეკავება მათზე ზიანის მიყენებისგან, მათ მიმართ სიკეთის სურვილი და დახმარება სიკეთესა და ღვთისმოშიშობაში.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee